ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ ზაალ მამალაძეს

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მინდია ჟღერიას

განმარტებითი ბარათი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ პროექტს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ " ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბერის №22 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და განვმარტავთ შემდეგს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში შეტანილი იქნეს ცვლილებები და გაიზარდოს 9 100,2 ათასი ლარით, მ.შ.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 29 იანვრის N222 განკარგულებით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" 500,0 ათასი ლარით და აღნისნული თანხა მიიმართოს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის (პროგრამული კოდი 02 06) ძალადაკარგულად გამოცხადდეს მუნიციპალიტეტის მერის 18/03/2026 N 846.46260772 ბრძანება.

საქართველოს მთავრობის საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260 განკარგულების საფუძველზე „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ" 323,9 ათასი ლარით და მიიმართოს საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობის ხარჯებისათვის (პროგრამული კოდი 04 05) ძალადაკარგულად გამოცხადდეს მუნიციპალიტეტის მერის 18/03/2026 N 846.46260774 ბრძანება.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20 მარტის N589 განკარგულების საფუძველზე „საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ" 21,7 ათასი ლარით და მიიმართოს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია" (ქვეპროგრამა 01 01 02) სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს მუნიციპალიტეტის მერის 21/03/2026 N 846.4626080001 ბრძანება.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 26 მარტის N580 განკარგულებით ,,სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ზოგიერთი ოჯახის საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფის შესახებ" 3 250,0 ათასი ლარით და მიიმართოს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები-ს (06 02 03 ქვეპროგრამა) ხარჯებისათვის. ძალადაკარგულად გამოცხადდეს მუნიციპალიტეტის მერის 23/03/2026 N 846.4626082001 ბრძანება.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 30 აპრილის N878 განკარგულებით ,,მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" 393,5 ათასი ლარით და მიიმართოს გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება (ქვეპროგრამა 02 01 02) ხარჯებისათვის, ძალადაკარგულად გამოცხადდეს მუნიციპალიტეტის მერის 04/05/2026 N 846.462612414 ბრძანება.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 24 აპრილის N826 განკარგულებით ,,სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფის შესახებ" 299,5 ათასი ლარით და მიიმართოს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები (06 02 03 ქვეპროგრამა) ხარჯებისათვის, ძალადაკარგულად გამოცხადდეს მუნიციპალიტეტის მერის 28/04/2026 N 846.4626118164 ბრძანება.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 11 მარტის N519 განკარგულებით ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ" 351,6 ათასი ლარით და მიიმართოს საბავშვო ბაღების მშენებლობა რეაბილიტაცია (ქვეპროგრამა 04 06) ხარჯებისათვის, ძალადაკარგულად გამოცხადდეს მუნიციპალიტეტის მერის 18/03/2026 N 846.4626077001 ბრძანება.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 27 მარტის N620 განკარგულებით ,,მუნიციპალიტეტებისათვის მიზნობრივი ტრანსფერის გამოყოფის შესახე" 30,0 ათასი ლარით და მიიმართოს ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (06 02 07 ქვეპროგრამა) ხარჯებისათვის 20,0 ათასი, დევნილთა დახმარება (02 04 ქვეპროგრამა) 5,0 ათასი და საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული ოჯახების დახმარება (06 02 05 ქვეპროგრამა) 5,0 ათასით, ძალადაკარგულად გამოცხადდეს მუნიციპალიტეტის მერის 01/04/2026 N 846.46260916 ბრძანება.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის N102 განკარგულებით ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ" საფუძველზე 3 930,0 ათასი ლარით და მიიმართოს გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების (02 01 02 ქვეპროგრამა) ხარჯებისათვის 3 588,7 ათასით და სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა და რეაბილიტაცია (05 01 06 ქვეპროგრამა) ხარჯებისათვის 341,3 ათასით, ძალადაკარგულად გამოცხადდეს მუნიციპალიტეტის მერის 05/05/2026 N 846.46261257 ბრძანება.

ასევე განხორციელდება შიდა ცვლილებები კერძოდ: შემცირდება საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენის ხარ (02 05 ქვეპროგრამა) 35,0 ათასით და მიიმართება სკვერების მოწყობა რეაბილიტაციის (02 03 05 ქვეპროგრამა) ხარჯებისათვის.

შემცირდება სოციალური პრობლემების გადაწყვეტისა და კულტ. საგანმანათლებლო სფეროს ხელშეწყობის მიზნით პროგრამების თანადაფინანსება (06 02 09 ქვეპროგრამა) 50,0 ათასით და მიიმართება სტიქიური მოვლენების და მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება (06 02 03 ქვეპროგრამა) ხარჯებისათვის.

განხორციელდება შიდა ცვლილება საბავშვო ბაღების მშენებლობა რეაბილიტაცია (ქვეპროგრამა 04 06) შემცირდება 50,0 ათასით და მიიმართება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების (02 04 ქვეპროგრამა) თანადაფინანსებისათვის.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის მოცულობა გახდება 35 754,7 ათასი ლარი.

პატივისცემით,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი: მინდია ჟღერია

განკარგულება

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4-ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი: **მ. გოგოლაძე**

დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბერის №22 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

დადგენილების შესახებ

დადგენილების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა" ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა. დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2026 წლის 29 იანვრის N222, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20 მარტის N589, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 26 მარტის N58, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 30 აპრილის N878, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 24 აპრილის N826, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 11 მარტის N519, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 27 მარტის N620 და საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის N102 განკარგულებებთან.

დადგენილების პროექტი, ასევე, შესაბამისობაშია ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 69-ე და მე-80 მუხლებთან და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიულ აქტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხდება იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილი იქნა ცვლილება.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული

განყოფილების უფროსი: **ბექა შენგელია**

პროექტი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" მე-80 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №22 დადგენილებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი, მე-2,მე-3,მე-4,მე-5,მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13, მე-14 . მე-15, მე-16, მე-17, მე-18, მე-19, მე-20 და 21-ე მუხლები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტი მოამზადა: *მ.გოგოლაძე*